ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3312126

ნომერი: AR1507811

თარიღი : 28.05.2017

გაცემის თარიღი : 08.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 63 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ტლაშაძე პ/ნ 01013007590
- თბილისი ზ.დუმბაძის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 28 მაისის №AR1507811 განცხადებით მომართა მოქ. მარინე ტლაშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, ქუჩა გორგასალი #63, შპს ,,ელზურო"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ: N 01.18.06.005.056 მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული–სავაჭრო ობიექტები, ოფისები) შენობა N2–ის არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სარდაფის ფართობად მითითებულია 144.4 კვ.მ ნაცვლად 145.5 კვ.მ-სა, კომერციულ ფართობად მითითებულია 2179.1 კვ.მ ნაცვლად 2059.5 კვ.მ-სა, საოფისე ფართობად მითითებულია 1442.8 კვ.მ ნაცვლად 1427.3 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მითითებულია 2644.1 კვ.მ ნაცვლად 2585 კვ.მ-სა, საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 12598.7 კვ.მ, ნაცვლად 12429.8 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობად მითითებულია 4240.0 კვ.მ ნაცვლად 4241.2 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 27559.1 კვ.მ ნაცვლად 27273. კვ.მ-სა. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა, ამავე ბრძანების ტექნიკურ- ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობის 75.1 კვ.მ-ს დაფიქსირება და სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმების, 2017 წლის 28 მაისის №AR1507811 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა 2017 წლის 28 მაისის №AR1507811 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სარდაფის ფართობად მიეთითოს 145.5 კვ.მ, კომერციულ ფართობად მიეთითოს 2059.5 კვ.მ, საოფისე ფართობად მიეთითოს 1427.3, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 2585 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 4241.2 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 12429,8 კვ.მ, საერთოდ ფართობად მიეთითოს 27273,4, 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 75.1 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს 2017 წლის 28 მაისის №AR1507811 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმები, 2017 წლის 28 მაისის №AR1507811 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.
3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 ივნისის №2673192 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.